



ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის



სატენდერო დოკუმენტაცია

გამარტივებული ელექტრონული ტენდერით

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მუხურის თემში წყალმომარაგების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის შესყიდვა

CPV- 71320000

ჩხოროწყუ

2014 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტუქცია ტენდერში მონაწილეთათვის	3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია	4
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	5-8
4. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურის შესახებ	9
5. დანართი №1	10
6. დანართი №2 ფასების ცხრილი	11
7. დანართი №3 გამოცდილება	12

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.1 რეკვიზიტები დანართი N1-ის შესაბამისად.

2.1.2 ფასების ცხრილი N2-ის შესაბამისად.

2.1.3 ინფორმაცია გამოცდილების შესახებ დანართი N3-ის შესაბამისად.

2.1.4 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.1.5 ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში.

2.1.6 ანგარიშსწორება მოხდება 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 დღის განმავლობაში.

2.1.7 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

2.2 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება და აღწერილობა:

2.2.1 მიმწოდებელმა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მუხურის თემში წყალმომარაგების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საექსპერტო მომსახურება შემსყიდველს უნდა მიაწოდოს, როგორც ბეჭდური (2 ეგზემპლარი) ასევე ელექტრონული ფორმით.

2.2.2 მიმწოდებელმა საექსპერტო მომსახურებისას უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

2.3 მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადები:

2.3.1 საპროექტო დოკუმენტაციების მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე.

2.3.2 საპროექტო დოკუმენტაციების მიწოდების ადგილი: დ.ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ#1.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

დ. ჩხოროწყუ

2014 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბესიკ ესებუას სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების და „მიმწოდებლის“ სატენდერო წინადადების საფუძველზე, განხორციელებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება **SPA**) ფარგლებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მუხურის თემში წყალმომარაგების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა.

2.2 კლასიფიკატორის კოდი CPV- 71320000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს () ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. სტანდარტები

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პარამეტრებში მითითებულ სტანდარტებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან;

5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზების მითითებით;

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5.4. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევის ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

5.5. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ანალიზის განმახორციელებელი ტექნიკური საბჭო (2014 წლის 7 თებერვლის №12 ბრძანება).

6. მომსახურების გაწევის ვადები

6.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით.

6.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. „შემსყიდველი“ გაწეული მომსახურების მიღებას მოახდენს ერთიანად.

8. ანგარიშსწორება და ვალუტა

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (ელ. ანგარიშგაქვტურა, ზედნაღები ან მიღება-ჩაბარების აქტი) წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;

8.2. გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით, ლარებში.

8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

9. ფასები

9.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ფასებს.

9.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

12. სუბკონტრაქტორები

12.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში მითითებული მონაცემების მიხედვით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. მხარეთა უფლება-მოვალეობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია: –გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია

13.2 შემსყიდველი ვალდებულია: – უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

13.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

13.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. თუ მიმწოდებელი: ა) არ დაიწყებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ ვადაში; ბ) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს; გ) სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

14.2. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე: ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას; ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში; დ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება; ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

14.3 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე აგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობის პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით. (შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 3 დღის განმავლობაში)

14.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი;

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

15.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16. დაუძლეველი ძალა

16.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს მაჟორული პირობების ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

16.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორს მაჟორული პირობების გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

16.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოავარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

17.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინდეს წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. გამოყენებული სამართალი

18.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. ხელშეკრულების ენა

19.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადაწყვეტის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაცხდება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

20. შეტყობინება

20.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

20.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

21. გადასახადები და დაბეგვრა

21.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

22. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

22.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის ჩათვლით.

22.2. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 1 (ერთი) პირი შემსყიდველთან.

23. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„ შ ე მ ს ყ ი დ გ ე ლ ი “

„ მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი “

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

მისამართი: დ. ჩხოროწყუ დაღმაშენებლის ქ. №1

საიდენტიფიკაციო კოდი: 242268791

ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ჩხოროწყუს ფილიალი

ბანკის კოდი: LBRTGE22

ანგარიშის № GE36LB0120165024153000

საკრებულოს თავმჯდომარე

/ ბ. ესებუა /

4. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრების ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელმაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ

4.1 დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:
შორენა ჩიქოვანი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: დ.ჩხოროწყუ, დაღმაშენებლის ქ. №1, პირველი სართული, მე-4 ოთახი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, საკონტაქტო ტელეფონი: მობ: +599 856570, შორენა ჩიქოვანი

თარიღი: — — 2014 წ .

პრეტენდენტის დასახელება _____

იურიდიული ფორმა:	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
საკონტაქტო ტელეფონი:	
იურიდიული მისამართი:	
ფაქტიური მისამართი:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
ელექტრონული ფოსტა:	
მომსახურე ბანკის დასახელება:	
ბანკის კოდი:	
ანგარიშის ნომერი:	

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

ფასების ცხრილი

სამშაპერთო მომსახურების დასახელება	ბასაჟიში მომსახურების ღირებულება	შსპერთის ბანორცილების ვადა
1	2	3
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მუხურის თეში წყალმომარაგების საპროექტო- სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის ექსპერტიზა		ღღე

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

მონაცემები პრეტენდენტის მიერ განხორციელებულ ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ .

შეესების თარიღი: _____

პრეტენდენტის დასახელება: _____

№	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება
1			
2			
3			

შენიშვნა: ატვირთული უნდა იქნას შესაბამისი სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტები დანართი №3-ში მოცემული (სამუშაოები) ცხრილის შესაბამისად.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

